სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/123

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025წ.

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 48-ე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის, დავით ხვედელიძის 2025 წლის 07 ივლისის MES 3 25 0000834358 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის, აგრეთვე დეკანის ვერარჩევის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევასთან დაკავშირებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე და 29-ე მუხლებში შეტანილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანას.
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**
აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**